საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.12.2011, სარეგისტრაციო კოდი: 040200010.05.001.016538) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 98^2 მუხლი:

„მუხლი 98^2. 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინებაზე თანხმობის გაცემა გარდამავალ პერიოდში

1. 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ბავშვის დაბადება.

2. ეს მუხლი ძალას კარგავს 2017 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

16 დეკემბერი 2015 წ.

N4650-რს